

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2017 წლის 23 მაისი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტისა და მე-4 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება წარმოდგენილი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ლაშქარავა

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 1. საბჭო

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სენაკის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში – შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხს.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს თავმჯდომარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.

3. საბჭო თავმჯდომარის ჩათვლით შედგება არანაკლებ 5 წევრისგან.

4. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის კურატორი სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

5. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის



მოადგილე.

6. საბჭოს თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება (მორიგ და რიგგარეშე) სხდომებს;
- ბ) დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს;
- გ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას.

7. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრები, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის რაიონული განყოფილების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

8. განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. აღნიშნულ მოწვეულ პირებს არ გააჩნიათ სათათბირო ხმის უფლება.

9. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არის სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს მდივანი არ არის საბჭოს წევრი.

10. საბჭოს მდივანი:

- ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს;
- ბ) პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომათა მასალების შენახვასა და დაცვაზე;
- გ) საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;
- დ) საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და დამუშავებას;
- ე) აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას;
- ვ) ახორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 4. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს:

- ა) საბჭოს სხდომაზე წამოაყენოს საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და კენჭისყრაში;
- ბ) წერილობით აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების, დასკვნის ან რეკომენდაციისაგან;
- გ) საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი;
- დ) პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვას საბჭოს წევრობაზე.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომები არასაკმატო მიზეზით;
- ბ) შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.



3. საბჭოს წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდა მისი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება საბჭოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით;

ბ) მისი ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობა;

გ) მის მიმართ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ე) გარდაცვალება.

5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის წარმართვა

1. საბჭოს სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

2. საბჭოს სხდომის ორგანიზებისა და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

3. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

4. საბჭოზე არ შეიძლება განხილულ იქნეს საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი საბჭოს წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.

5. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღებისას.

6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება;

ზ) განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებს საბჭოს ყველა წევრი და საბჭოს მდივანი.

8. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

9. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილებისას გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.



10. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში და ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

11. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება სენაკის მუნიციპალიტეტის მერს.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 6. საბჭოს ამოცანები

საბჭოს ამოცანებია:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, შშმ პირთა უფლებების დაცვა და ამ ნიშნით მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

გ) შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და გეგმების შემუშავება;

დ) არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა;

ე) შშმ პირებისათვის შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

ვ) შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის უფლებების რეალიზების ხელის შეწყობა.

მუხლი 7. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ფუნქციებია:

ა) რეკომენდაციების შემუშავება შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა ინტეგრაციის კუთხით;

გ) არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა არსებული პროექტების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით;

დ) შშმ პირთა სატრანსპორტო, საზოგადოებრივი და სხვა საკითხების გადასაჭრელად რეკომენდაციების განხილვა და მიღება;

ე) შშმ პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, მათ შორის, სურსათ-სანოვავით და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრისათვის რეკომენდაციების მომზადება;

ვ) შშმ პირთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებასა და მათ დანერგვაში ხელშეწყობა;

ზ) შშმ პირებთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;

თ) შშმ პირებთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის მერის კონსულტირება;

ი) შშმ პირებთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ერთიანი პოლიტიკის კოორდინირება, პრიორიტეტული და სპეციალიზებული პროგრამებისა თუ ღონისძიებათა ინიცირება და მათ შემუშავებაში მონაწილეობა

კ) შშმ პირებთან დაკავშირებული პროგრამების რეალიზაციის მონიტორინგი, შეფასება, ზედამხედველობა და კოორდინაცია;



ლ) შშმ პირებთან დაკავშირებით მომზადებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და რეკომენდაციების მომზადება;

მ) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

3. საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების საფუძველზე იღებს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

მუხლი 8. საბჭოს მიერ გაწეული ანგარიშის წარდგენა

1. საბჭო გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სენაკის მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ერთჯერადად. წლიური ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს დეკემბრის თვისა.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 17.01.2018წ.

